

დამტკიცებულია: 20.04.2018წ. N 14

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო



შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე წესი არეგულირებს სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი“) სამუშაო სივრცეში მყოფი პირების (შემდეგში „პერსონალი“) უფლებებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს, რომლებიც დაკავშირებულია უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნასთან.
2. წესი შემუშავებულია საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსისა“ და სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 2. დამსაქმებლის უფლება-მოვალეობები

1. სასწავლო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ვალდებულია:

- ა) შეუქმნას სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემო.
- ბ) გონივრულ ვადაში მიაწოდოს დასაქმებულს მის ხელთ არსებული სრული ობიექტური და გასაგები ინფორმაცია ყველა იმ ფაქტორის შესახებ, რომლებიც მოქმედებს დასაქმებულის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებაზე.
- გ) დაუყოვნებლივ შეატყობინოს დამსაქმებელს იმ გარემოების შესახებ, რომლის გამოც იგი უარს ამბობს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე.
- დ) მიიღოს ყველა გონივრული ზომა საწარმოო შემთხვევის შედეგების დროული ლოკალიზაციისა და ლიკვიდაციისათვის, პირველადი დახმარების აღმოჩენისა და ევაკუაციისათვის.
- ე) სრულად აუნაზღაუროს დასაქმებულს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებით მიყენებული ზიანი და აუცილებელი მკურნალობის ხარჯები.
- ვ) უზრუნველყოს ორსული ქალის დაცვა ისეთი შრომისაგან, რომელიც საფრთხეს უქმნის მის ან ნაყოფის კეთილდღეობას, ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას.
- ვ) საჭიროების შემთხვევაში, სამუშაო ადგილებზე განათავსოს გამაფრთხილებელი ნიშნები-შეზღუდვის/აკრძალვის ნიშანი.
- ზ) შექმნას შესაბამისი გარემო სსმ პირებისთვის.

2. სასწავლო უნივერსიტეტი პასუხისმგებელია მის ტერიტორიაზე მომუშავე ყველა პირზე და მათ უსაფრთხოებაზე.

მუხლი 3. თამბაქოს საწინააღმდეგო პოლიტიკა

1. სასწავლო უნივერსიტეტში თამბაქოს არ ეწევიან (გარდა ამისათვის სპეციალურად გამოყოფილი ადგილებისა).

2. მოწევა აკრძალულია სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე და შენობაში. აკრძალვა ეხება სტუდენტებს, თანამშრომლებსა და მესამე პირებს.

3. სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე აკრძალულია თამბაქოს რეკლამირება, გავრცელება, სპონსორობა და თამბაქოსთან დაკავშირებული სხვა პირდაპირი თუ არაპირდაპირი აქტივობები.

4. სასწავლო უნივერსიტეტში თამბაქოს მოხმარება ნებადართულია მხოლოდ ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილას და ეზოში.

მუხლი 4. დასაქმებულის უფლება -მოვალეობები

1. სასწავლო უნივერსიტეტში დასაქმებულ პერსონალს უფლება აქვს:

ა) ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად მოითხოვოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო სამუშაო გარემო.

ბ) მიიღოს ინფორმაცია ყველა იმ ფაქტორის შესახებ, რომლებიც მოქმედებს დასაქმებულის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებაზე.

გ) უარი განაცხადოს იმ სამუშაოს, დავალების ან მითითების შესრულებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს, სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედ წესებს, არსებით საფრთხეს უქმნის მისი ან მესამე პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებას.

2. სასწავლო უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალი ვალდებულია :

ა) დაიცვას სასწავლო უნივერსიტეტის წესდება, შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები, „ეთიკის კოდექსი და სხვა მოქმედი წესები.

ბ) საკვებისა და სასმელი ნივთიერებების მოხმარება და შენახვა უზრუნველყოს სპეციალურად ამისათვის გამოყოფილ ადგილას - სამზარეულოში (ცალკეულ ადგილებში - მაგ. ლაბორატორიებში საკვები და სასმელი ნივთიერებების შენახვა დაუშვებელია).

გ) ელექტრონული ხელსაწყოების გამოყენებისას დაიცვან უსაფრთხოების წესები.

მუხლი 5. შესყიდვა

სასწავლო უნივერსიტეტის სამუშაო ადგილისათვის შეძენილი ინვენტარი/მოწყობილობა უნდა შეესაბამებოდეს უსაფრთხოების წესებს, მხოლოდ იმ ინვენტარის/ მოწყობილობის გამოყენება შეიძლება, რომელიც არის უსაფრთხო.

მუხლი 6. ელექტროუსაფრთხოება

სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე გამოყენებული ელექტრონული მოწყობილობა უნდა იყოს შემოწმებული და უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ სტანდარტებს.



მუხლი 7. მესამე პირები

სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მესამე პირების გადაადგილება სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე დასაშვებია, თუ ეს გამომდინარეობს სამუშაოს ხასიათიდან/საჭიროებიდან ანდა სხვა გარემოებიდან და ასეთი გადაადგილება საფრთხეს არ შეუქმნის სხვა პირის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

მუხლი 8. გარე მომსახურება

შენობის დაგეგმვის, შეკეთების, მცენარეთა დარგვის, დამონტაჟებისა და სხვა მსგავსი ტიპის სამუშაოები, რომლებიც ხორციელდება გარე მომსახურებით, უნდა მიმდინარეობდეს შესაბამისი პირის მეთვალყურეობის ქვეშ, რათა დაცული იყოს ამ პირთა შრომის უსაფრთხოება.

მუხლი 9. ბავშვები

სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ბავშვების მოყვანის შემთხვევაში, საჭიროა მათი მუდმივი მეთვალყურეობა მშობლის ან მეურვის მიერ. არ შეიძლება ბავშვების შეშვება საფრთხის შემცველ ადგილებში - ლაბორატორიებში, სამზარეულოში, ნებისმიერ სხვა ადგილას, სადაც ზედამხედველი პირი ჩათვლის რომ ბავშვებისათვის საფრთხე არსებობს.

მუხლი 10. უსაფრთხოების წესების დაცვა

1. სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებული აქტივობების დროს გათვალისწინებულ და უზრუნველყოფილ უნდა იქნეს უსაფრთხოების წესების დაცვა.

2. სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიის გარეთ შესაძლოა განხორციელდეს სავლე სამუშაოები, სტუდენტები/პროფესორული სტუდენტები, პერსონალი, მესამე პირები ვალდებულები არიან შეაფასონ რისკები და საჭიროების შემთხვევაში მიიღონ შესაბამისი ზომები. სავლე სამუშაოების დროს გამოყოფილი უნდა იყოს ზედამხედველი პირი, პირველადი დახმარებისათვის საჭირო მოწყობილობა, დამცავი ტანსაცმელი და შესაბამისი ინვენტარი. სავლე სამუშაოებზე პასუხისმგებელმა პირმა უნდა გააცნობიეროს შესაძლო რისკები.

მუხლი 11. სამუშაო ადგილის დალაგება

1. სამუშაო ადგილის სისტემატიური დალაგება ხშირ შემთხვევაში თავიდან გვაცილებს ფიზიკურ დაზიანებებს. სამუშაო ადგილის დალაგება მოიცავს ისეთ ქმედებებს როგორცაა:

ა) იატაკების სუფთა და მშრალ მდგომარეობაში ყოფნა;

ბ) კარების სახელურებისა და ონკანის სახელურების ყოველკვირეული წმენდა;

გ) ნაგვის ყოველდღიური გადაყრა;

დ) სამუშაო ადგილის სუფთა მდგომარეობაში ყოფნა, საფრთხისშემცველი მასალებისა და ინვენტარის შენახვა;

ე) გასასვლელების დაბრკოლებებისაგან გათავისუფლება;



ვ) პირველადი დახმარებისათვის აუცილებელი საშუალებების ხელმისაწვდომობა;

ზ) გარე მომსახურების განმახორციელებელი პირებისათვის ადვილადააღებადი საგნებისა და საფრთხის შემცველი ადგილების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;

თ) საწმენდი საშუალებების უსაფრთხო ადგილას შენახვა;

ი)სამუშაო ადგილის ბოლოს დატოვების შემთხვევაში, ყველა ხელსაწყოს გამორთვა/უსაფრთხო რეჟიმზე გადაყვანა.

მუხლი 12. მუშაობა სამუშაო საათების შემდეგ

1.სამუშაო საათების შემდეგ მუშაობის დროს ყურადღება უნდა მიექცეს უბედური შემთხვევის, დაზიანების ან დაავადების თავიდან აცილების მექანიზმებს. იმ პირებს, რომლებიც მუშაობას აგრძელებენ სამუშაო საათების გარეთ, უნდა მოეთხოვოთ შემდეგი წესების დაცვა:

ა)დარწმუნდნენ, რომ შენობის კარები დაკეტილია შესვლის ან გამოსვლის დროს, განათება და სხვა ელექტროხელსაწყოები გამორთულია;

ბ) დარწმუნდნენ, რომ შიდა კარები არ არის დაკეტილი;

გ) დარწმუნდნენ, რომ ახსოვთ შრომის უსაფრთხოების წესები და საგანგებო მდგომარეობის დროს საკონტაქტო პირის ნომრები.

დ) არ შეუშვან ტერიტორიაზე არაუფლებამოსილი პირები;

ე) აცნობონ სასწავლო უნივერსიტეტის უსაფრთხოების სამსახურს საეჭვო, საფრთხის შემცველი ქმედების შესახებ.

მუხლი 13. სხვა სახის აკრძალვა

1.დაუშვებელია სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე:

ა) ალკოჰოლური სასმელების შემოტანა, გავრცელება და/ან გამოყენება;

ბ) ბილწსიტყვაობა.

გ) ნარკოტიკული და/ან ფსიქოტროპული საშუალებების შემოტანა, გავრცელება და/ან გამოყენება;

დ) ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის შემოტანა და/ან გავრცელება;

ე) ისეთი ფეთქებადი და აალებადი ნივთებისა და ნივთიერებების შემოტანა და/ან გავრცელება, რომლებიც ხანძრის და/ან აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნიან;

ვ) ძალადობა, ფიზიკური და/ან სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება სხვა სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლებისათვის.

ზ) აზარტული თამაშები.



მუხლი 14. ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

1. წესში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით.
2. წესი ძალაშია დამტკიცებისთანავე თუ წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

